

ევროპის ონკოლოგიის ექთნების დღის გამოშვებისთვის-18 მაისი



ევროპის ონკოლოგიის ექთნების ასოციაციის უსაფრთხოების მანიფესტი მიზნები და საკვანძო რეკომენდაციები.

მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვუთხრათ პაციენტებს, მათ ახლობლებსა და ჩვენს კოლეგებს, რომ ონკოლოგიის ექთნებს აქვთ შესაძლებლობა, რომ ჰქონდეთ და განახორციელონ ინიციატივა პაციენტების უსაფრთხოების შესახებ. WHO 2018 წლის მონაცემებით ყოველი 10 ჰოსპიტალიზებული პაციენტიდან ერთს ემუქრება ზიანის მიყენების საფრთხე, თუმცა ამ შემთხვევათა ნახევრის აცილება შესაძლებელია. არაუსაფრთხო კონტაქტი მედიკამენტებთან წარმოადგენს ძვირადღირებულ პრობლემას და ზიანს აყენებს ჩვენს პაციენტებს. ჯანდაცვის ხარჯების დაახლოებით 15% იხარჯება მკურნალობის გვერდითი მოვლენების სამკურნალოდ.

მნიშვნელოვანია პაციენტებს და მათ გარემოცვას მიეწოდოს ინფორმაცია და აქტიურად იყენონ ჩართულნი მკურნალობის პროცესში.

ონკოლოგიის ექთნებს შეგვიძლიათ ჩართოთ პაციენტები და მათი გარემოცვა მკურნალობაში, ისე რომ ნებისმიერი მოსაზრების შემთხვევაში, რაც შეეხება პაციენტის მკურნალობისა თუ მასზე ზრუნვის სხვადასხვა ასპექტების სისწორეს, შეძლონ გითხრან თქვენ. ამას შეუძლია შეამციროს პაციენტისათვის ზიანის მიყენების რისკი. სთხოვეთ პაციენტებს და მათ გარემოცვას, რომ დაგისვან კითხვები მკურნალობის შესახებ.

მოერიდეთ ციტოტოქსიურ და რადიოაქტიურ პრეპარატებთან კონტაქტს თუ კი გეგმავთ ორსულობას ან უკვე ხართ ორსულად.

თუ კი თქვენ ხართ ონკოლოგიის ექთანი და გეგმავთ ორსულობას ან უკვე ხართ ორსულად და/ან თქვენს შვილს ძუძუთი კვებავთ, შეატყობინეთ ამის შესახებ თქვენს ხელმძღვანელობას. თუ კი თქვენ გაქვთ კონტაქტი ციტოტოქსიურ მედიკამენტებთან, რადიოაქტიურ ნივთიერებებთან ან რადიაციის ღია წყაროსთან, ასეთ შემთხვევაში ითხოვეთ ალტერნატიული საქმიანობის შესრულება. ასეთ დროს შეგიძლიათ შეაფასოთ ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პაციენტები, მართოთ მათი მკურნალობის გვერდითი მოვლენები, თუმცა აუცილებელია თავი აარიდოთ პირდაპირ კონტაქტს ციტოტოქსიურ სამკურნალო საშუალებებთან, როგორც არის თუნდაც პაციენტისათვის ციტოტოქსიური პრეპარატის დადგმა ან მოხსნა, ორგანიზმის სითხეების მიღება და ა. შ.

ყოველთვის დაიცავით
უსაფრთხოების წესები,
გამოიყენეთ
ინდივიდუალური დაცვის
საშუალებები.

სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს ციტოტოქსიურ მედიკამენტებთან, უნდა გამოიყენონ "Personal Protective Equipment (PPE)", იმისათვის რომ დაცვნილი იყვნენ კანზე გამონაყარისგან, რეპროდუქციულ სისტემაზე ზემოქმედებისა და კიბოს განვითარების მომატებული რისკისაგან.

ექთანი, რომელიც ზრუნავს პაციენტებზე, რომლებიც იღებენ ქიმიოთერაპიულ მედიკამენტებს და/ან რადიოაქტიურ ნივთიერებებს, უნდა დარწმუნდეს რომ დაცულია "პერსონალური დაცვის წესები" (PPE). ექთანმა უნდა იცოდეს, სად არის განთავსებული ციტოტოქსიური ნივთიერებები და დაიცვას უსაფრთხოების ყველა ნორმა.

ონკოლოგიის ექთნები ზრუნავენ პაციენტებზე, რომლებიც ხშირად იღებენ რთულ სამკურნალო სქემებს, კიბოსთან ბრძოლისათვის, ამიტომ აუცილებელია 5 წესის დაცვა:

1. სწორი პაციენტი;
2. სწორი მედიკამენტი;
3. სწორი დოზა;
4. სწორი გზა (მედიკამენტის შეყვანის წესი და გზა);
5. სწორი დრო.

ყოველთვის ისაუბრეთ და
დასვით კითხვა იმის
შესახებ, რაც თქვენი აზრით
არასწორია.

მნიშვნელოვანია ქმედებები და უნარები, რომელიც უნდა გააჩნდეს ონკოლოგიის ექთანს უსაფრთხოებისათვის. აგრეთვე მნიშვნელოვანია ნებისმიერი კითხვის დასმა და აზრის გამოთქმა მაშინ, როდესაც სამედიცინო პრაქტიკისას გვხვდება არასწორი ქმედებების განხორციელება, მათ შორის ზიანის რისკისა და შესაძლო შეცდომებისას. ამრიგად ონკოლოგიის ექთნებს შეუძლიათ შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი პაციენტის უსაფრთხოების მაღალ კულტურაში, რაც შეამცირებს შესაძლო ზიანის რისკს როგორც პაციენტისათვის, აგრეთვე სამედიცინო პერსონალისათვის.